„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის

პრეზიდენტი ლევან ნოზაძე

---

18 ნოემბერი 2025

აკაკი კიბორძალიძის და დავით ხახალეიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი 2008 წელს დაბადებულ ვაჟთა შორის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

17-18 დეკემბერი 2025

წყალტუბო

მიზანი და ამოცანები

ტურნირი მიზნად ისახავს ძიუდოს პოპულარიზაციას და განვითარებას, ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას, სახელოვანი ძიუდოისტების სახელის უკვდავყოფას.

შეჯიბრების ორგანიზატორები

შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგია. ტურნირი უზრუნველყოფილი იქნება ვიდეოგადაღებით.

შეჯიბრების მონაწილენი

შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ **2008** წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები. მონაწილეთა რეგისტრაცია შესაძლებელია საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან.

შეჯიბრების ჩატარების პირობები, დრო და ადგილი

შეჯიბრება ჩატარდება 2025 წლის 17-18 დეკემბერს წყალტუბოში სპორტის სასახლეში, რუსთაველის 6.

ჩამოსვლის დღე - 16 დეკემბერი. წასვლის დღე - 19 დეკემბერი.

კენჭისყრა ჩატარდება აწონვების შემდეგ.

შეჯიბრების დასაწყისი 10:00.

რეგისტრაცია

ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (**http://gjf.ge/geo/calendar/georgia**) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით.

შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 10 დეკემბრამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.

13 დეკემბერს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

რეგისტრაციის გარეშე ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.

შეჯიბრების ჩატარების სისტემა

შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით. ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე.

შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში 8 წონით კატეგორიაში:

17 დეკემბერი: -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ,

18 დეკემბერი: -81კგ, -90კგ, -100კგ, +100კგ.

აწონვა

აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს წყალტუბოში სპორტის სასახლეში და თბილისში ძიუდოს აკადემიაში. ყველა მონაწილემ აწონვის დროს უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა.

არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;

ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

გამარჯვებულთა დაჯილდოება

თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები. შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა), უცხოური დელეგაციებიდან 1 მწვრთნელის და 2 სპორტსმენის სასტუმროს ხარჯებს უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი.

დებულება ითვლება შეჯიბრებაზე ოფიციალურ მოწვევად.

ელექტრონული მისამართი - judofedgeo@gmail.com

საკონტაქტო ტელეფონი:

555422244 გიორგი თუთაშვილი;

577994407 ზურაბ უსუფაშვილი.